1 აგვისტო

2023

რიგითი XVII კვირა [I]
წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი
ეპ. და მოძ., +1787, (მ), თ

სამშაბათი

გამ 33,7-11;34,5-9.28; ფს 102; მთ 13,36-43

კეთილი თესლის მთესველი
არის ძე კაცისა მთ 13,37

იესოს მნიშნელოვნად მიიჩნევს იგავებს: ამიტომაც ვუსმენთ ასე გულდასმით. ამჯერად, ერთ მათგანს განმარტავს. კაცის ძე, როგორც თავისთავს მოიხსენებს, მთესველია, ვინც კეთილ თესლს თესავს, რომელიც თავისი ნაყოფით ადამიანებს კვებავს და მათ სიცოცხლეს ანიჭებს. მოდით, მივიღოთ თესლი - მისი სიტყვა, როგორც განძი.

2 აგვისტო

2023

რიგითი XVII კვირა [I], მწ

წმ. ევსები ვეჩჩელელი, ეპ., +372;/
წმ. პეტრე ივნ. ეიმახელი, ხუც., +1868;/
(20.VII) წმ. საღომე ქართველი, წამ., +~1227

ოთხშაბათი

გამ 34,29-35; ფს 98; მთ 13,44-46

ბრწყინავდა მისი სახის კანი გამ 34,30

აჰა, მოსე, მთიდან ეშვება, სადაც ღმერთს შეხვდა და მისი სიტყვა ისმინა. მის სახეზე აირეკლება მისი შუქი, ვინც ჭვრეტა და სიყვარული შეძლო. მას მერე, რაც უფალთან ცოტახნით დაჰყავი, შენი სახეც გასხივოსნდა! ხომ არ გიცდია ამ ლამაზი და წმინდა წუთების სხვებზე გაზიარება?

3 აგვისტო

2023 ხუთშაბათი

გამ 40,16-21.34-38; ფს 83; მთ 13,47-53

გამოვლენ ანგელოზები და გამოაცალკე-
ვებენ ბოროტებს მართლებისგან მთ 13,49

იესო კიდევ ერთ იგავს განმარტავს. მე-
ბადურთა ბადეს ნაპირზე ყველანაირი
ჯიშის თევზი გამოაქვს, კარგიც და ცუდიც.
საჭიროა მათი გადარჩევა. იესოც ამბობს,
რომ ცათა სასუფეველში ყველა ჯურის
ადამიანი შევა, ღმერთის მორჩილნი და
საკუთარ ინსტინქტებს დამორჩილებუ-
ლნი. მათ ვინ გადაარჩევს? ჩვენ - არა,
არამედ უფლის ანგელოზები. ჩვენ არა-
ვის ვეტყვით უარს, მათაც კი შევეგუებით,
ვისაც ჩვენი აღშფოთება შეუძლია.

4 აგვისტო

რიგითი XVII კვირა [I]

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც., +1859, (მ), თ

2023

პარასკევი

ლევ 23,1.4-11.15-16.27.34-37; ფს 80; მთ 13,54-58

საიდან აქვს მას ეს სიბრძნე? მთ 13,54

გაოცებულები არიან ნაზარეთის მკვიდრნი, ისინი ხომ კარგად იცნობდნენ იესოს, ეგონათ, რომ იცნობდნენ, მაგრამ არ უწყოდნენ, რომ იგი ღვთის ძე იყო, მამის სიყვარულით გარემოცული. მათთვისაც უნდა მომკვდარიყო და აღმდგარიყო იესო.

5 აგვისტო

2023

რიგითი XVII კვირა [I], მწ

წმ. მახიამის მთავარი ბაზიდიკის კუთხევა

შაბათი

ლევ 25,1.8-17; ფს 66; მთ 14,1-12

ეს იოანე ნათლისმცემელია,
მკვდრეთით აღდგა და ამიტომაც
მოქმედებენ მასში ძალნი მთ 14,2

თავად ჰეროდე, ვინც იოანეს თავი მოჰ-კვეთა, ვერ მიმხვდარა, რა მიზეზით ახ-დენს ვინმე იესო, სასწაულებს და კურ-ნებას. ის მადლობას როდი ეუბნება იმის გამო, რომ მის ქვეშევრდომებს კურნავს, მხოლოდღა იმაზე ფიქრობს, როგორ დააღწიოს მას თავი.

6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

2023 კვირა

დან 7,9-10.13-14; ფს 96; 2პეტ 1,16-19; მთ 17,1-9

დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+2022)

ეს არის ძე, ჩემი, საყვარელი! მთ 17,5

ყურები გავამახვილოთ იმ ხმის მოსასმენად, რომელიც არა ადამიანის პირიდან, არამედ ღრუბლიდან მოდის, სადაც დამალულა ის, ვინც ლაპარაკობს - მოსიყვარულე მამა. მოვუსმინოთ და მივიღოთ იესო, როგორც ძე, ვინც ღირსია ჩვენი სიყვარულისა, ყველა ამქვეყნიურ საგანძურზე მეტად.

7 აგვისტო

2023

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ., +258;
წმ. კაეტანე, ხუცესი, +1547

ორშაბათი

რიცხ 11,4-15; ფს 80; მთ 14,22-36 (წელი "ა")
ან, მთ 14,13-21 ("ბ" და "გ" წლები)

ზღვაზე სვლით მივიდა მასთან მთ 14,25

ვის შეუძლია ზღვის წყლებზე სიარული? ეს დიდი სიურპრიზი იყო მოწაფეთათვის, წინა დღის განცდილის შემდეგ. სიურპრიზები მას აშინებს, ვინც ამ სიურპრიზის ავტორის ვინაობა არ იცის. ეს უნდა აღმოაჩინონ მოწაფეებმა: მათი მოძღვარი ყველა ქმნილების უფალია, თვით წყლისა. გახდება იგი მათი გულის უფალი?

8 აგვისტო

2023

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. დომენიკე, ხუცესი, +1221, (მ), თ

სამშაბათი

რიცხ 12,1-13; ფს 50; მთ 15,1-2.10-14

ისმინეთ და შეიგნეთ მთ 15,10

უმნიშვნელოვანესია ის, რასაც იესო ქადაგებს: გულდასმით მოვუსმინოთ მას და ვიაზროვნოთ. ბინძური ხელები კი არ გვაქცევს ცოდვილად, არამედ ბოროტი და უწმინდური ფიქრები.

9 აგვისტო

2023

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა
(ედიტ შტაინი), ქალწ. დაწამ., +1942,
ევროპის მფარველი, დ, [ს], წ

ოთხშაბათი

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

ამიტომ, იფხიზლეთ მთ 25,13

ევროპის თანამფარველის ხსენების დღის აღსანიშნავად, უგუნური და ბრძენი ქალწულების შესახებ იგავს ვისმენთ. უფალთან შეხვედრის მოლოდინი გონივრული უნდა იყოს: უფლება არ მივცეთ კომფორტს ან ბანალურობას, გონება გაგვიფანტოს. მხედველობიდან არ დავკარგავთ ნეფეს: ის აუცილებლად მოვა ჩვენს შორის. მას მივაპყროთ მთელი ყურადღება, მაშინაც, როცა ჩვენს გვერდით ვერ ვხედავთ.

10 აგვისტო

2023

წმ. ლავრენტი, დიაკ. და წამ. +258, დ, [ს], წ;
(28.VII) წმ. ღიხსი გიოხგი მაშენებელი, +1029

ხუთშაბათი

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

ვინც მე მემსახურება,
მას პატივს სცემს მამა იო 12,26

წმინდა ლავრენტი უფალს ემსახურა. და როგორ? ღმერთის ეკლესიას მიუძღვნა თავი, გაჭირვებული და უმწეო ადამიანების დახმარებით. ამას იგი სიხარულით აკეთებდა, და სიხარულით უარყო თავისი სიცოცხლე, ოღონდაც იესოსთვის გაეწია მსახურება ღატაკთა სახით, ვინც ასე უყვარდა უფალს.

11 აგვისტო

2023

რიგითი XVIII კვირა [II]

(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წ;
წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. + 1253, (მ), თ

პარასკევი

რჯლ 4,32-40; ფს 76; მთ 16,24-28

მოვა მე კაცისა თავისი მამის დიდებით მთ 16,27

მოდის კაცის ძე, რათა ამაგი დაუფასოს თავის ერთგულ მსახურებს. დიახ, არიან უფლის მიმდევრები, რომლებიც მისი სიყვარულის გამო საკუთარ ჯვარს ატარებენ. ვინ იცის რა ჯილდო ელით მათ! წმიდა კლარაც ერთ-ერთი მათგანია, ვისაც ვერ გავიხსენებთ იესოს, მისი უფლის გარეშე!

12 აგვისტო

2023

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, მონ., +1641

შაბათი

რჯლ 6,4-13; ფს 17; მთ 17,14-20

აქ მომიყვანეთ მთ 17,17

ერთი შეხედვით ეს ბიჭი გულყრით არის ავად, მაგრამ იესოს გვერდით იგი ეშ-მაკისეულად წარდგა. მოწაფეები ვერა-ფერს ახერხებენ. მას უნდა მიუყვანონ. ამჯერად, იესო კი არ მიდის სნეულთან: ელის, როდის მიიყვანენ მასთან. მა-მამისმა თავისი რწმენა უნდა აჩვენოს, თუნდაც მცირედი. რწმენა კი, რაც არ უნდა მცირედი იყოს, უფალს თხოვნის შესრულებას ავალდებულებს.

13 აგვისტო

რიგითი XIX კვირადღე, «ა», [III], მწ

2023 კვირა

ამეფ 19,9.11-13; ფს 84; რომ 9,1-5; მთ 14, 22-33

გამხნევდით, მე ვარ... მთ 14,27

ხშირად, სამზარეულოში როცა ვფუსფუსებ, ვნერვიულობ, რომ დრო არ მეყოფა ყველაფრის მოსამზადებლად. მაშინ, ვლოცულობ, რომ არ მეშინოდეს, როგორც იესო გვეუბნება. მადლობა უფალს, რამეთუ მეხმარება, დაუყვედრებლად მივიღო ჩემი მარცხი. მეც რაღაცას ვსწავლობ თანამესუფრეთა მხრიდან, დიდი მოთმინებით რომ ელოდებიან... იესოსთან სასოწარკვეთის ადგილი არ არის!

14 აგვისტო

2023

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე,
ხუც. და წამ., +1941, (მ), წ

ორშაბათი

რჯლ 10,12-22; ფს 147; მთ 17,22-27

თუთხრა მას იესომ: "მაშ, მენი
თავისთუფალნი ყოფილან! მთ 17,26

შვილებს ბეგარა არ ეხებათ. იესო ღვთის ძეა, მაშ, არც მან უნდა გადაიხადოს ტაძრის ბეგარა. მაგრამ ეს ვინ იცოდა? მას არც დისკუსიის და არც შფოთის გამოწვევა სურს: ვერავინ გაუგებდა მას. ამიტომ, ისიც იხდის ბეგარას სწორედ იმ მონეტით, რომელიც პეტრემ ტბიდან დაჭერილი თევზის პირში იპოვა.

15 აგვისტო 2023

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

სამშაბათი

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-27; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა;
უდის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

ადიდებს სული ჩემი უფალს ლკ 1,46

დღესასწაულს, რასაც დღეს აღვნიშნავთ, ვერავინ გამოიგონებდა! მის აღსანიშ-ნავად სამოთხეში შევდივართ: პირველი, ვინც ხარობს, თავად იესოა, ვინც მადლობს ზეციერ მამას, რამეთუ ასეთი ლამაზი და წმიდა დედა აჩუქა. სულიწმიდა კი, მამისა და ძის სიხარულს ჰფენს ყველა წმინდანზე და ჩვენზეც.

16 აგვისტო

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა, დდ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

წმ. სტეფანე უნგრელი, +1038; (3.VIII) წმ. ხაჟდენ მოწამე, +457

2023

ოთხშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 94; 1პეტ 2, 4-9; იო 4, 19-24

სხვა ეკლესიებში: 3მეფ 8,22-23.27-30; ან 1პეტ 2,4-9; ფს 94; იო 4,19-24

სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ, მათ შორის მთ 18,20

დიდებული და გასაოცარია ეს სიტყვა. ვერავინ ხედავს იესოს, მაგრამ იგი იქ არის, როგორც თავად დაჰპირდა. სად არის აქ, დედამიწაზე? აჰა, გვიმხელს: იქ, სადაც ადამიანთა ურთიერთობები მასზეა იგება. იქნება ორი ადამიანი, რომელთა სიყვარულის მიზეზიც უფალია? ისიც იქ იქნება.

17 აგვისტო

2023 ხუთშაბათი

იესო 3,7-10.11.13-17; ფს 113ა; მთ 18,21–19,1

განა არ გმართებდა, ისევე შეგეწყალებინა შენი ამხანაგი? მთ 18,33

შვიდგზის პატიება? აზვიადებ, პეტრე! სიძუნწეშიც აზვიადებ. ვინც მიუტევებს, მას უყვარს და ვისაც უყვარს, თითზე არ ჩამოთვლის, რამდენჯერ უყვარს.

18 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III], მწ

წმ. აღაპიტო, წამებული + 274

2023 პარასკევი

იესო 24,1-13; ფს 135; მთ 19,3-12

ვინც ღმერთმა შეაუღლა,
კაცი ნუ დააშორებს! მთ 19,6

ამ სიტყვებს მღვდელი ყოველ ქორწილში იმეორებს. ნეტარ არიან ის მეუღლენი, რომლებიც ამ სიტყვას ემორჩილებიან! ქალისა და მამაკაცის მანკიერმა მხარეებმა არ უნდა დააზიანონ ღვთისგან ბოძებული ერთობა, პირიქით, მეუღლეებმა უარი უნდა თქვან ყოველგვარ გრძნობაზე ან სურვილზე, რაც მამის საქმეს შებღალავს.

19 აგვისტო

2023

რიგითი XIX კვირა [III], მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი, +1680

შაბათი

იესო 24,14-29; ფს 15; მთ 19,13-15

მოიყვანეს მასთან ბავშვები *მთ 19,13*

მეუღლეთა შემდეგ, უკვე ბავშვებზეა საუბარი. მათაც აქვთ ოჯახში სიტყვის თქმის უფლება. ისინი არ ლაპარაკობენ, მაგრამ მათ სურვილებს დიდი გავლენა აქვთ მშობლების არჩევანზე, განსაკუთ-რებით მაშინ, როდესაც ბავშვებს აღარ სჯერათ მათი ერთიანობის და კავშირის. იესო ლოცავს ბავშვებს საკუთარ მისია-ში, რომ შეინარჩუნონ თავიანთი მშო-ბლების ერთიანობა.

20 აგვისტო

რიგითი XX კვირადღე, «ა», [IV], მწ

2023

კვირა

ეს 56,1.6-7; ფს 66; რომ 11,13-15.29-32; მთ 15,21-28

დედაკაცო, დიდია შენი რწმენა! მთ 15,28

ამ დედაკაცს ეშმაკისეული სულით შეპყრობილი ქალიშვილი ჰყავს. მაგრამ იმ წუთიდან ეშმაკს აღარ დაეფგომება მის სახლში, უკვე სიმშვიდე დაკარგა. რატომ? დედის ძლიერი რწმენის წყალობით იქ იესო შევიდა, მტერი კი იქაურობას უნდა გაშორდეს.

ორშაბათი

მსჯ 2,11-19; ფს 105; მთ 19,16-22

გაყიდე შენი ქონება და ღარიბებს მიეცი; და გექნება სათუნჯე ზეცაში მთ 19,21

საუკუნო სიცოცხლის მსურველს, ასე პასუხობს იესო: „დაიცავი მცნებები და, თუ გინდა იყო სრულყოფილი, მე გამომყევი“. მე მწამს, იესო, რომ შენა ხარ ჭეშმარიტი სიცოცხლე, საუკუნო სიცოცხლე; ყველაფერს დავტოვებ, რაც ხელს მიშლის შენთან ყოფნაში, შენს სიყვარულში და შენს მორჩილებაში.

22 აგვისტო

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი, (მ), თ

2023

სამშაბათი

მსჯ 6,11-24; ფს 84; მთ 19,23-30

მრავალი უკანასკნელი
პირველი იქნება მთ 19,30

იესომ განასწავლა თავისი მოწაფეები სიმდიდრის შესახებ. ეს საფრთხე დამღუპველია, იგი მთლიანად იპყრობს ადამიანის გულს, სივრცეს არ უტოვებს მას, იესოს. მათ, ვინც თავისი სიმდიდრით მნიშვნელოვნად თვლის თავს, გზა უნდა დაუთმოს მათ, ვისაც არაფერი ამქვეყნიური არ აბადია, მაგრამ მთელი ცათა სამეფო მათია: მას თავად მეფე ფლობს!

23 აგვისტო

2023

რიგითი XX კვირა [IV], მწ

წმ. ხოზა ღიმეღი, ქაღწ., +1617

ოთხშაბათი

მსჯ 9,6-15; ფს 20; მთ 20,1-16

იქნებ შენს თვალს შურს,
რომ კეთილი ვარ? მთ 20,15

საკუთარი თავი რომ გაგვაცნოს, იესო იგავს გვიყვება. მას ადარდებს არა შრომის შედეგი, არამედ მისი ერთგული მსახურის სიხარული, თუნდაც ბოლო ჟამს მოსულის. მას უხვად აჯილდოვებს. ხოლო სხვანი, თუკი მის სიყვარულს არ მიბაძავენ, მიღებულით ვერ ილხენენ. შური ყოველგვარ სიხარულს სპობს.

24 აგვისტო

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

2023 ხუთშაბათი

გამოცხ 21,9-14; ფს 144; იო 1,45-51

რაბი, შენ ხარ ძე ღვთისა იო 1,49

ნათანაელმა, "გლეხის შვილად" წოდებულმა, ანუ ბართლომემ, რწმენა უნდა შეიცვალოს. მას ეგონა, რომ წინასწარმეტყველი ვერ გამოვიდოდა ნაზარეთიდან, სამაგიეროდ, ახლა ხვდება, რომ იესო მას კარგად იცნობს: მხოლოდ ღმერთს ძალუძს ამგვარად შეცნობა. ახლა ცხადია, რომ იესო არა მხოლოდ წინასწარმეტყველია, არამედ ის, ვინც წინასწარმეტყველთა მიერ არის ნაუწყება და ჩვენ შორის საღმრთო ცხოვრებით ცხოვრობს.

25 აგვისტო

2023

წმ. იუდოვიკე, +1270; /
წმ. იოსებ კალასანსი, ხუც., +1648

პარასკევი

რუთ 1,1.3-6.14-16.22; ფს 145; მთ 22,34-40

რომელია დიდი მცნება? ...
გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთ 22,37

დიდი? არა მხოლოდ დიდი, არამედ ერთადერთი, შეიძლება ითქვას. მას ეფუძნება ღმრთის ყველა ზრახვა და ცნება. ღმერთი თავად არის სიყვარული და მას სურს, რომ სიხარულში დავრჩეთ, სიხარული კი მხოლოდ მაშინ ეუფლება ჩვენს გულს, როდესაც მის მსგავსად გვიყვარს.

შაბათი

რუთ 2,1-3.8-11;4,13-17; ფს 127; მთ 23,1-12

ერთია თქვენი მოძღვარი მთ 23,8

ზეციური სამეფოს წესები წუთისოფლის სამეფოთა წესების საპირისპიროა. ზეციურ სამეფოში, პირველად მოდის თავმდაბლობა, მორჩილი ძის თავმდაბლობა. ყველა სხვის მსახურებაში დგას, ერთმანეთს სიყვარულში ეჯიბრებიან. არავინ ეძებს ტიტულს ან ღირსებას, რამეთუ ეს ყველაფერი ღვთის ძეს ეკუთვნის.

კვირა

ეს 22,19-23; ფს 137; რომ 11,33-36; მთ 16,13-20

დიაკ. თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)

მოგცემ ცათა სამეფოს გასაღებებს მთ 16,19

იესო პეტრეს აკისრებს ცათა სასუფევლის კარის გახსნის და დაკეტვის მისიას. აქ, რატომღაც, ის ახალგაზრდები მახსენდებიან, დისკოთეკაზე საათობით რომ ატარებენ დროს ჩაკეტილ დარბაზში. პეტრე გაუღებთ მათ კარებს, რომ იპოვონ ბედნიერება, ასე რომ ეძებენ. იესო აავსებთ მათ სიყვარულით და გასაოცარი სიყვარულით, და ახალ მუსიკაზე ააცეკვებთ მათ და მათი თვალები მოციმციმე შუქის ფარებად იქცევიან.

28 აგვისტო

2023

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ., +430, (მ), თ

ორშაბათი

1თეს 1,2-5.8-10; ფს 149; მთ 23,13-22

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

თვითონვე ჭეშმარიტ... როგორ შემობრუნდით კერპებისგან ღვთისკენ 1თეს 1,9

წმინდა პავლე აქებს თესალონიკელ ქრისტიანებს: იესოსკენ მათი მოქცევა ჭეშმარიტი იყო. იესომ მათი ცხოვრების წესი იმდენად შეცვალა, რომ მიატოვეს კერპთაგან შეთვისებული ყველა მანკიერება. მათი ახალი საქციელი წარმართებსაც კი აოცებს.

29 აგვისტო

2023

წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

სამშაბათი

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

მე ვარ შენთან, შენს გადასარჩენად იერ 1,19

ღმერთი იხმობს იერემიას თავის ხალ-ხთან სასაუბროდ, ხალხმა მას უღალატა და ამის გამო დასჯას იმსახურებს. ყველა მის წინააღმდეგ იქნება, ყველა მტრად გადაეკიდება, მაგრამ მას არავისი არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან თავად უფა-ლი ჰპირდება, რომ მათ ხელში არ და-ტოვებს. ეს დაპირება მეც მეხება, როცა უფლის მორჩილი ვარ.

30 აგვისტო

2023

რიგითი XXI კვირა [I], მწ

(17.VIII) წმ. ტბეღი აბუსეხიძე, XIIIს

ოთხშაბათი

1თეს 2,9-13; ფს 138; მთ 23,27-32

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

ვქადაგებდით თქვენს შორის ღვთის სახარებას 1თეს 2,9

წმინდა პავლე და სილვანუსი თესალონიკელ ქრისტიანებს მათთან გატარებულ დროს შეახსენებენ: მათ ხომ სასიხარულო ამბავი აუწყეს იესოში გაცხადებული მამის სიყვარულზე, ისინი თავიანთ თავზე და საქმეებზეც ზრუნავდნენ. მათი ღარიბული ცხოვრების მაგალითი ამ საკრებულოში უფლისადმი ერთგულებას აძლიერებს.

ხუთშაბათი

1თეს 3,7-13; ფს 89; მთ 24,42-51

ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი მთ 24,42

უფალო იესო, შენ ისევ შეგვახსენებ შენს მეორედ მოსვლაზე. თითქოს დიდი სურვილი გაქვს ჩვენი ხელახლა შეკრების, როგორც ჩვენ გვსურს მყუდრო და სიყვარულით სავსე გარემო შეგიქმნათ. ვიცხოვრებთ ისე, როგორც ძმებს შეშვენით, ლამაზად გავაწყობთ შენთვის ადგილს, უპირველესად, იმ გარემოს, სადაც მხოლოდ ძმური და გულითადი სიყვარული დაისადგურებს.